დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
დადგენილებით № 11. 18.05.2020 წ. ოქმი № 2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (კოდიფიცირებული)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „უნივერსიტეტი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესი არეგულირებს უნივერსიტეტში: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების, არაფორმალური და ფორმალური პროფესიული განათლების აღიარების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს, კარიერულ სერვისებს, წახალისებისა და პროფესიული სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერას, პროფესიულ პროგრამაზე აპლიკანტთა შესარჩევი კომისიის ფორმირების და მუშაობის, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
3. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რეგულირდება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიხედვით.

მუხლი 2. ამოღებულია (აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 ივლისის N26 დადგენილება, ოქმიN6)

მუხლი 2[1]. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

1. დაინტერესებული პირის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, უნივერსიტეტი, მიმართვის შემთხვევაში იღებს ვალდებულებას ყოველგვარი საფასურის გარეშე, დაინტერესებულ პირს:
ა) გააცნოს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობები;
ბ) მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ;

გ) მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამაზე ამ წესით გათვალისწინებული რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს რეგისტრაციაში;
დ) უნივერსიტეტი ასევე იღებს ვალდებულებას, დაინტერესებული პირს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ გასაწევი საგანმანათლებლო სერვისების, მათ შორის, პროგრამის თავისებურებების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) შესახებ.
2. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება ხორციელდება მიმართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები
პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) უნივერსიტეტის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;
ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;
გ) შერჩევა;
დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - მართვის სისტემა) უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;
ვ) დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 3^1. უნივერსიტეტის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

1. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, უნივერსიტეტი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად.

2. ანკეტა-კითხვარი წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ მიღების გამოცხადების მიზნით შექმნილ მოდულს, რომელშიც აისახება ინფორმაცია უნივერსიტეტის, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა და სხვა პირობების შესახებ. ანკეტა-კითხვარი არის აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნით შექმნილი სარეგისტრაციო სისტემის ინფორმაციის

წყარო. ანკეტა-კითხვარის ფორმა მტკიცდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიღება გამოაცხადოს ორი სასწავლო გეგმით (სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს და სასწავლო გეგმა, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს), თუ თავისუფალი ადგილების რაოდენობა იძლევა ორი დამოუკიდებელი ჯგუფის ფორმირების შესაძლებლობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. უნივერსიტეტის და მათი პროგრამების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მართვის სისტემისთვის მიწოდებული მონაცემები, რომლებიც აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ხოლო ამავე სისტემაში უნივერსიტეტის მიერ შევსებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია თავად უნივერსიტეტი.

5. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:

ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება უნივერსიტეტის მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების შესაბამისად, ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით;

გ) დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.

6. მართვის სისტემა ამუშავებს ანკეტა-კითხვარში ასახულ მონაცემებს ელექტრონულად და განათავსებს სარეგისტრაციო სისტემაში.

7. ამ წესის 3^5 მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 3^6 მუხლის მე-20 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეიტინგული სიების უნივერსიტეტისათვის ხელმისაწვდომობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია

მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

მუხლის 3[2]. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად.

2. სარეგისტრაციო სისტემა წარმოადგენს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ელექტრონულ მოდულს. მასში აპლიკანტთა რეგისტრაციის ეტაპზე აპლიკანტის პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და რეგისტრაციის მიზნებისთვის მართვის სისტემის უფლებამოსილება განსაზღვრულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით”.

3. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

4. ელექტრონული რეგისტრაციისას შესავსები ველების ჩამონათვალი დგინდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.

6. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გათვალისწინებით, აქტიური პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირს შეზღუდული აქვს პროგრამაზე რეგისტრაციის უფლება, გარდა ამ წესის 3[4] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების დროისთვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტისა.

7. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.

8. რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინებით. შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით.

9. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში.

10. ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

მუხლი 3[3]. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

1. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელმაც დაძლია სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების პროგრამა.

2. პირი, რომელმაც დაძლია სულ მცირე:

ა) საბაზო ზოგადი განათლების პროგრამა, დაიშვება იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

ბ) სრული ზოგადი განათლების პროგრამა, დაიშვება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელმაც დაძლია სრული ზოგადი განათლების პროგრამა.

4. პირი ვალდებულია ამ მუხლის პირველი–მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ პროგრამაზე ჩარიცხვიდან 3 თვის ვადაში უნივერსიტეტს წარუდგინოს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მასთან გათანაბრებული დოკუმენტი ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საბაზო ზოგადი განათლების/სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე გადაეცა.

5. პროფესიული მომზადების პროგრამაზე ან პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი პროგრამით დადგენილ პირობებს.

მუხლი 3[4]. აპლიკანტთა შერჩევა

1. აპლიკანტთა შერჩევა მოიცავს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების პროცესს.

2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.

3. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე.

მუხლი 3[5]. შერჩევა საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

1. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით, რომელიც არეგულირებს:
ა) შეფასების ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;
ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს;
გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;
დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;
ე) აპელაციის წესსა და ვადებს;
ვ) საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
ზ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.
2. თითოეულ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შეფასება უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-3[4] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში. უნივერსიტეტი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს მის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.
3. უნივერსიტეტი ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული თარიღის/თარიღების შესახებ აცნობოს აპლიკანტს, გონივრულ ვადაში, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განსაზღვრული ფორმით.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესარჩევი და აპელაციის კომისიების ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და უნდა ითვალისწინებდეს უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას.
5. უნივერსიტეტი, ამ წესის მე-3[4] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.
6. შეფასება უნდა იყოს დიფერენცირებული და უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
7. მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
8. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებითნ რომელთა რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება უნივერსიტეტის მიერ პროგრამისთვის დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს.
9. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

10. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.
11. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
12. მართვის სისტემა სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:
ა) უნივერსიტეტისთვის რეიტინგულ სიაში აპლიკანტთა რაოდენობის ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, ამ წესის 3^1 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
13. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზეც, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

მუხლი 3^6. შერჩევა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე.
2. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ის საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად შეფასება შესაძლოა განხორციელდეს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გზით და უნივერსიტეტი უფლებამოსილია შერჩევის ძირითად მეთოდად ანკეტა-კითხვარის შევსების ეტაპზე, ამ პროგრამებისთვის, განსაზღვროს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირება.
3. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების შეფასების გარდა, უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შერჩევის დამატებითი მექანიზმები, რომელიც არეგულირებს:
ა) შეფასების ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;
ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს;
გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;
დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;
ე) აპელაციის წესსა და ვადებს;

ვ) აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
ზ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თითოეულ პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამასთან, შეფასება უნდა განხორციელდეს ამ წესის 3[4] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დადგენილ შერჩევის პერიოდში. უნივერსიტეტი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს მის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.
6. უნივერსიტეტი ვალდებულია ამ მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული თარიღის/თარიღების შესახებ აცნობოს აპლიკანტს, გონივრულ ვადაში, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფორმით.
7. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ უნივერსიტეტი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და უნდა ითვალისწინებდეს უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას.
8. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უნივერსიტეტის შეფასება უნდა იყოს დიფერენცირებული და დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
9. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ცენტრის დირექტორი.
10. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-8 ან მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს დაკარგავს ჩარიცხვის უფლებას.
11. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, უნივერსიტეტი უფლებამოსილია არ დაუშვას აპლიკანტი ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევაზე.
12. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საბოლოო შედეგის გაანგარიშების მიზნით, მართვის სისტემა უზრუნველყოფს ტესტირებისა და უნივერსიტეტის შეფასების შედეგების განთავსებას ერთიან სკალაზე, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მეთოდით. თითოეული შეფასების შედეგის ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 50%.
13. იმ საშუალო პროფესიულ პროგრამისთვის, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და უნივერსიტეტის შეფასების საბოლოო შედეგებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

14. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს ტესტირების, უნივერსიტეტი შეფასების საბოლოო შედეგებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით, რომელსაც მართვის სისტემის უფროსი ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

15. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
16. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.
17. ამოღებულია
18. იმ შემთხვევაში, თუ რეიტინგული სიის შედგენისას აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით, რომელთაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

19. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
20. მართვის სისტემა სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:
ა) უნივერსიტეტისთვის რეიტინგულ სიაში აპლიკანტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, ამ წესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 3^7. პროფესიულ პროგრამაზე აპლიკანტთა შესარჩევი და სააპელაციო კომისიის ფორმირების და მუშაობის წესი
1. აპლიკანტთა შერჩევის და სააპელაციო პროცესის ჩატარების მიზნით, უნივერსიტეტში რექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის (შემდგომში დეპარტამენტი) უფროსის წარდგინების საფუძველზე იქმნება შესარჩევი და სააპელაციო კომისია.
2. შესარჩევი და სააპელაციო კომისია შედგება არანაკლებ სამი და არაუმეტეს ექვსი წევრისაგან, მათ შორის კომისიის თავმჯდომარისა და მდივნისაგან. კომისიის შემადგენლობაში უნივერსიტეტის წარმომადგენლების გარდა, სავალდებულოა შედიოდეს წევრები პარტნიორი ორგანიზაციებიდან.

3. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ სამი წევრისა.
4. კომისიის მუშაობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

5. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება გასაუბრების/ტესტირების/შემოქმედებითი სპეციალური ტურის/პრაქტიკული სამუშაოს შემთხვევების ანალიზის ფორმით, რომელსაც განსაზღვრავს რექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი.

6. კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტებს რექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით წინასწარ დამტკიცებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

7. კომისია მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შერჩევის დადგენილ პერიოდში, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.

8. შეფასება არის დიფერენცირებული და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 25 %.

9. აპლიკანტს შერჩევის შეფასების შედეგის გასაჩივრების უფლება წარმოეშობა შედეგის გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს. აპლიკანტი შედეგების გასაჩივრების მიზნით, განცხადებით მიმართავს სააპელაციო კომისიას, რომელიც შექმნილია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. კომისია გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 2 დღის ვადაში. გადაწყვეტილება აპლიკანტს ეცნობება მიღებისთანავე. კომისიის მუშაობა ფორმდება შესაბამისი ოქმით.

მუხლი 3[8]. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა

1 უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე განისაზღვრება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, დოკუმენტების წარმოდგენის ფორმა და წარდგენის ვადები.
2. აპლიკანტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხაში შედის:
ა) აპლიკანტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ორი ასლი; ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანი აპლიკანტის შემთხვევაში, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; არასრულწლოვანმა, დამატებით უნდა წარმოადგინოს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საჭიროების

შემთხვევაში მზრუნველობის შესახებ მშობლის მიერ გაცემული ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი (მინდობილობა);
ბ) საბაზო საფეხურის/სრული ზოგადი/უმაღლესი/პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან/და ასლი, ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი ან/და ასლი ნოტარიულად დადასტურებული, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების ან/და სრული ზოგადი განათლების დაძლევის გარეშე, თუ სრული ზოგადი განათლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს;
გ) არასრულწლოვანმა აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ასევე დაბადების მოწმობა ან/და ასლი;
დ) ამოღებულია;
ე) უცხო ქვეყნის მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;
ვ) პირმა, რომელსაც ზოგადი განათლება მიღებული აქვს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, უნდა წარმოადგინოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული აღიარების დოკუმენტი (რაც რეგულირდება: 2009 წლის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 19 მარტის ბრძანება N147, „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“);

ზ) სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა (ვაჟებისათვის);

3. უნივერსიტეტის რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისა და ამ მუხლის გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენიდან 2 დღის ვადაში დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე რიცხავს აპლიკანტებს.
4. დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი (რეესტრის წარმოების მიმართულებით) უფლებამოსილია, აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.

5. უნივერსიტეტი ჩარიცხავს აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ.

6. ამოღებულია.

6^1. ამოღებულია.

7. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:

ა) ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესის საფუძველზე დაწესებულების მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;

ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში.

8. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.

9. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, უნივერსიტეტს შესაბამის პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.

10. თუ ამ მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს პროგრამისთვის შესაბამის მიღებაზე განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული ადგილების რაოდენობა მოაკლდება ამავე პროგრამაზე მომდევნო მიღებისთვის განსაზღვრულ ადგილებს.

11. უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შემდეგ, ფორმდება ორმხრივი ხელშეკრულება რექტორსა და პროფესიულ სტუდენტს შორის. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს, ხოლო მეორე - ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.
12. თუ პროფესიული სტუდენტი არასრულწლოვანია, ხელშეკრულება ფორმდება მის მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან.

13. აპლიკანტი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა პროფესიული ტესტირება ან წარმატებით გაიარა უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით შერჩევა, მაგრამ დაწესებულ ვადებში უნივერსიტეტში არ წარმოადგინა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, პროფესიულ პროგრამაზე არ ჩაირიცხება.

14. დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი (რეესტრის წარმოების მიმართულებით) ვალდებულია:
ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაციის ასახვა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, უნივერსიტეტის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მითითებით ამ წესის მე-3[4]

მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.
ბ) უზრუნველყოს ჩარიცხულ სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება და შენახვა.

15. ამოღებულია (29 აპრილი, 2026)

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, რომლებმაც სწავლის უფლება მოიპოვეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ეროვნული უმცირესობის ენაზე (რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე) ტესტირების შედეგების საფუძველზე

1. ეროვნული უმცირესობის ენაზე (რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე) შერჩევის გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. „ქართული ენა A2“ მოდულის დაძლევის შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს მოდულზე „ქართული ენა B1“;
2. „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ მოდულების დაძლევის შემთხვევაში სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და მას უფლება აქვს:

ა) სწავლა განაგრძოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის“ შესაბამისად ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით;

გ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული წესით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ პროგრამით (რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.

4. გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა აკლდება უნივერსიტეტში მომდევნო მიღებისას დადგენილ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას;

5. პროფესიული სტუდენტის მიერ „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ სწავლის შედეგების დაუძლევლობის შემთხვევაში ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

მუხლი 4[1]. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

1. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ:

ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე/დამატებითი დაცვის მქონე პირებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით, რეგისტრაციის დროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი ვალდებულია სისტემაში ატვირთოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

4. მართვის სისტემა, აპლიკანტთა შესაბამისი სტატუსების შესახებ ინფორმაციას, რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოითხოვს სახელმწიფო სერვისების განვითარების

სააგენტოდან, ხოლო „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტიდან.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას უნივერსიტეტი ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.

6. უნივერსიტეტი ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შერჩევის წესისა და პირობებით შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაცია ასახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვა

1. ყველა პირისთვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, ეს მუხლი განსაზღვრავს პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ჩარიცხვის წესს.

2. ყველა პროგრამა, რომელზეც გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში (გარდა რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებულ პროგრამაზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის შერჩევისა).

3. პირს, რომელსაც მულტიდისციპილინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო სისტემაში გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ პროგრამების შეთავაზებას, რომელზე ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ამ წესის 3[4] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

4. უნივერსიტეტი განიხილავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს და თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

5. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს. ამასთან, უნივერსიტეტს უფლება აქვს განსაზღვროს დამატებითი პირობები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, უნივერსიტეტი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს ინფორმაციას მათთვის ჩარიცხვის უფლების მინიჭების შესახებ და უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინფორმირებას ამ წესის 3[4] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული შერჩევის პერიოდში.

7. უნივერსიტეტი რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და მათი წარდგენის ვადებს.

8. უნივერსიტეტი, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს შესაბამის პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას ამ აპლიკანტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან.

9. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს უნივერსიტეტი, ამ წესის 3[4] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე, ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 5[1]. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება, რეგულირების სფერო, მიზანი, აღიარების საფუძველი

1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების საკითხი შემუშავებულია „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანების საფუძველზე და ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესსა და პროცედურას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

2. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (შემდგომში – ფორმალური განათლების აღიარება) მიზანია მთელი სიცოცხლის

განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

3. ფორმალური განათლების აღიარებას უნივერსიტეტი ახდენს ამ მუხლით, 5^2 და 5^3 მუხლით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე.

4. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

5. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

მუხლი 5^2. ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები და ვადა

1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღებიდან.

2. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) უნივერსიტეტისთვის განცხადების წარდგენა;

ბ) კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება;

გ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;

დ) დაწესებულების მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

3. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.

4. განმცხადებლის მიერ უნივერსიტეტისთვის წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

გ) განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას უნდა ერთოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას შესაძლებელია ერთოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული

ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7. უნივერსიტეტი არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს ამ მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუქნტითა და მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა ამავე უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.

8. უნივერსიტეტი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი უნივერსიტეტს არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, უნივერსიტეტი განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

9. უნივერსიტეტის მიერ ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

10. თუ უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

მუხლი 5^3. ფორმალური განათლების აღიარების კომისიის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება, გადაწყვეტილების მიღება

1. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.

2. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისგან. უნივერსიტეტი ვალდებულია კომისიის შემადგენლობაში უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი პირის მონაწილეობა. უნივერსიტეტს უფლება აქვს განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

3. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

4. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

6. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.

7. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

8. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამ წესის 5[1] მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.

9. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;

ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

10. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.

11. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.

12. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე უნივერსიტეტის ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) დაწესებულების დასახელება;

ბ) განმცხადებლის ვინაობა;

გ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;

დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;

ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;

ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.

13. უნივერსიტეტი ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

14. ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ შესაბამის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 5^4. ამოღებულია (აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 დეკემბრის დადგენილება N66, ოქმი N11)

მუხლი 5^5. ამოღებულია (აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 დეკემბრის დადგენილება N66, ოქმი N11)

მუხლი 5^6. ამოღებულია (აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 დეკემბრის დადგენილება N66, ოქმი N11)

მუხლი 5^7. ამოღებულია (აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 დეკემბრის დადგენილება N66, ოქმი N11)

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება მიზეზის მითითებით. მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი;
ბ) დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება;
გ) სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;
დ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;
ე) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა;
ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საერთო მოცულობის საკონტაქტო საათების 50 %-ზე მეტის გაცდენა არასაპატიო მიზეზით;
ზ) პროფესიული პროგრამის დასრულების მომენტში მინიმუმ 1 სწავლის შედეგის მიუღწევლობა;
თ) საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმება, რის შემთხვევაშიც პროფესიულ სტუდენტებს უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლება აქვთ ისარგებლონ მობილობით;
ი) სხვა ისეთი ობიექტური გარემოების არსებობა, რომელიც პროფესიულ სტუდენტს ხელს უშლის სწავლის გაგრძელებაში.
კ) არასაპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაზე (მათ შორის, განმეორებით შუალედურ შეფასებაზე) არ გამოცხადდების შემთხვევაში განმეორებითი შუალედური შეფასების თარიღიდან 15 დღის ვადაში პროფესიული სტუდენტის მიმართვა დაწესებულებისადმი სტატუსის შეჩერების მოთხოვნით.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა შეჩერების მომენტიდან 5 წელი.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობით.
4. ამ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას პროფესიული სტუდენტი/სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, წერილობითი განცხადებით (რომელსაც უნდა დაერთოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი) მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს და ითხოვოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება კონკრეტული ვადით.

4[1]პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, უნივერიტეტი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას (წერილობითი ფორმით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით), მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს სამი დღისა, მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის (5 წელი) გასვლა, თუ არ მოხდა სტუდენტის სტატუსის აღდგენა;

ბ) პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;

გ) პროგრამის დასრულება და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღება;

დ) პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, თუ სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით;

ე) უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტის ეთიკის კოდექსით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება.

ვ) გარდაცვალება;

ზ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

თ) პროფესიულ სტუდენტს, რომელიც შუალედურ შეფასებაზე (მათ შორის, განმეორებით შუალედურ შეფასებაზე) არ გამოცხადდება, შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პროფესიული სტუდენტი განმეორებითი შუალედური შეფასების თარიღიდან 15 დღის ვადაში მიმართავს დაწესებულებას პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს სამი დღისა, მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 8. მობილობის წესით ჩარიცხვა

1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების

ჩარჩოს“ (დანართი №1) იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

2. გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ამ უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტი.

3. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

4. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

5. უნივერსიტეტში პროფესიულ პროგრამაზე გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს რექტორს, განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.

6. უნივერსიტეტში პროფესიულ პროგრამაზე შიდა მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს რექტორს განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.

7. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში გავლილი მოდულები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით. მიღებული განათლების აღიარება მოხდება გავლილი მოდულების ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

8. აღიარებას ექვემდებარება ის მიღწეული სწავლის შედეგები, რომლის შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შეიძლება დადგინდეს ერთი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სხვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობა, მათი ფორმულირების მიუხედავად.

9. მობილობით ჩარიცხვის მსურველი ვალდებულია უნივერსიტეტს დამატებით წარუდგინოს;

ა) პროფესიული სტუდენტის შეფასების ამონაწერი (სასწავლო ბარათი);

ბ) პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანება;

გ)ცნობა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესახებ ან ამონაწერი სტატუსის შეჩერების ბრძანებიდან.

დ) ოფიციალური დოკუმენტი შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის შესახებ (პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით).

10. მოდულების აღიარების მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი მოდულების აღიარების შესახებ და ამზადებს დასკვნას ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე, რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები დაწესებულების, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში – იმავე დაწესებულების სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

11. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია, უფლება აქვს:

ა) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად გადავიდეს სხვა დაწესებულებაში ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით.

ბ) ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით, ამავე მუხლის პირველი და მესამე პუნქტის მოთხოვნათა დაცვით.

გ) შეიჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი და შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

12. ამ მუხლის 8.11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღუდგება პირადი განცხადების საფუძველზე, ამ წესის შესაბამისად ჩატარებული შემდგომი პროფესიული ტესტირების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე.

13. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის უნივერსიტეტი აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით.

14. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს შესთავაზოს მობილობა, თუ:

ა) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ბ) უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) პროფესიული ტესტირების შედეგად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა 5-ზე ნაკლები სტუდენტი.
15. მობილობის შედეგად სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს სამი დღისა, მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
16. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროფესიული პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა ამ მუხლის მე-16[1] პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25 %-ით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

16[1]. პროფესიული სტუდენტები, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაწესებულებამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ან გაუვიდა ავტორიზაციის ვადა მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება ამ მუხლით დადგენილი პირობები.

16[2]. დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში ამ დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის ისინი, ვისაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში.

16[3]. დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის, ასევე დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის, ისინი, ვისაც ავტორიზაციის ვადის გასვლამდე ან დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის ვადის გასვლიდან/ლიკვიდაციიდან 5 წლის განმავლობაში.

17. პროფესიული სტუდენტის გარე მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში დაფინანსების გადატანის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებით „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისათვის სტატუსშეჩერებულმა პროფესიულმა სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს.

2. სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ ის პროფესიული პროგრამა, რომელზეც სწავლობდა პროფესიული სტუდენტი უნივერსიტეტში აღარ ხორციელდება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია ამ წესის მე-8 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით, სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს სამი დღისა, მონაცემები შეიტანება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 10. ამოღებულია (აკადემიური საბჭოს 2020 წლის 04 ნოემბრის N42 დადგენილება)

მუხლი 11. პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები.

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;

ბ) ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს მოდულის კალენდარული გეგმა;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;

ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო დისციპლინების და გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;

ვ) პერიოდულად მოახდინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მუშაობის /მომსახურების შეფასება.

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.
თ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე;
კ) ისარგებლოს საქართველოს კანონით ,,პროფესიული განათლების შესახებ“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მინიჭებული სხვა უფლებებით.
2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:
ა) პროფესიული სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა მოდული, რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას უნივერსიტეტის წესდება და ეთიკის კოდექსი, პერიოდულად ეცნობოდეს უნივერსიტეტის შესაბამის სამართლებრივ აქტებს და განუხრელად დაიცვას მათი მოთხოვნები;
ბ) დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;
გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას.
3. პროფესიული სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:
ა) თამბაქოს მოწევა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;
ბ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა პროფესიული სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;
გ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით.

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის დატვირთვა
1. პროფესიული სტუდენტის დატვირთვა განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.
2. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და შეფასებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და შეფასებას.

მუხლი 13. სწავლის საფასური
1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული პროგრამისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სტატუს შეჩერებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება გასავლელი მოდულების ღირებულების შესაბამისად.

მუხლი 14. კარიერული სერვისები, წახალისებისა და პროფესიული სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერა

1. სასწავლო პროცესის განმავლობაში პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია ეფექტური და კონფიდენციალური მხარდაჭერა.

უნივერსიტეტისაგან პროფესიული სტუდენტისთვის შეთავაზებულია:

ა) კონსულტაცია პროფორიენტაციაზე - უფროს სპეციალისტი (პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით) დაინტერესებულ პირებს კონსულტაციას უწევს და ეხმარება, მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის, საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

ბ) კარიერა - უფროს სპეციალისტი (პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით) მუდმივად ზრუნავს პროფსიულ სტუდენტთა დასაქმებაზე. სასწავლო პროგრამები შექმნილია დამსაქმებლების უშუალო მონაწილეობით. პროფესიული განათლების მასწავლებელთა უმეტესობაც მომავალი დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან. მათთან გაფორმებულია მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რაც უზრუნველყოფს სრულფასოვანი პროფესიული პრაქტიკის გავლას. ყოველივე ეს ქმნის თითოეული პროფესიული სტუდენტის წარმატებული დასაქმების წინაპირობას. უფროს სპეციალისტი (პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით) უწევს კონსულტაციებს და ზრუნავს მათ დასაქმებაზე უნივერსიტეტის დასრულების შემდეგაც. ყველა კურსდამთავრებული აღირიცხება შესაბამის მონაცემთა ბაზაში. უნივერსიტეტში რეგულარულად ეწყობა დასაქმების ფორუმები, წარჩინებულ სტუდენტებს ეძლევა რეკომენდაციები, რითაც ხელს უწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას პარტნიორ ორგანიზაციებში.

გ) სტაჟირების პროგრამა - უნივერსიტეტი პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობს სტაჟირების პროგრამას, რომლის მიხედვითაც მათ შეუძლიათ გაიუმჯობესონ შრომითი უნარები.

დ) ამოღებულია 29.04.2026 (აკადემიური საბჭო

ე) პროფესიულ სტუდენტთა წახალისება - უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის გამოიყენება წახალისების შემდეგი სახეები: მადლობის გამოცხადება, ფულადი ჯილდოს ან/და ფასიანი საჩუქრის გადაცემა.

ვ) პროფესიულ სტუდენტთა მომსახურება - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მომსახურეობას, გასცემს ინფორმაციას და კონსულტაციებს რეგისტრაციის, სასწავლო პროცესის ორგანიზების, პრაქტიკების, საგამოცდო სესიების და სხვა მნიშვნელოვან

საკითხებში. გასცემს ცნობებს, საჭირო დოკუმენტაციას პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესახებ და სხვ.
ზ) პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით);
თ) პროფესიული სტუდენტის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებითი კონსულტირება, ვადებისა და კონსულტაციის ფორმის მითითებით.
ი) პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის პროცესის ხელშეწყობა - უნივერსიტეტი სასწავლო პროცესის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, პროგრამის ხელმძღვანელისა და უფროსი სპეციალისტის (პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით) (ასეთი ტიპის შეხვედრები გრძელდება ერთი კვირის განმავლობაში და შემდეგ პერიოდული კონსულტაციის სახეს იღებს), სადაც მათ მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, მეცადინეობების ცხრილების, მოდულების არჩევის, სწავლის შედგების დადასტურების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების აპელაციის, სასწავლო პროცესების თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების, უნივერსიტეტის სერვისებისა და სხვა ყველა იმ საკითხის შესახებ, რაც ეხება პროფესიული სტუდენტის სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესს.
კ)საბიბლიოთეკო სერვისი – უნივერსიტეტში არსებობს ბიბლიოთეკა, რომლის წიგნსაცავში დაცულია სილაბუსების/მოდულების მიხედვით მითითებული ყველა სასწავლო ლიტერატურა, ხელმისაწვდომი ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია ინდივიდუალური სამუშაო მაგიდები და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია მასალების დასკანერება, ასლების გადაღება და ამობეჭდვა.
ლ) უკაბელო ინტერნეტი/Wifi – უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსები უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით.
მ) სპორტულ-კულტურული ღონისძიებები – უნივერსიტეტში შესაძლებელია გარდა ხარისხიანი განათლებისა, სწავლის პერიოდში პროფესიულმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ტიპის პროექტის, ინტელექტუალური, გასართობი, სპორტული და სხვა ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.
ნ) სასადილო – უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასადილო.

მუხლი 15. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები
1. უნივერსიტეტი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ

სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.
2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენებული იქნება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტისათვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვის გზით.

მუხლი 16. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება
1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზანია, უზრუნველყოს სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობა და პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერა მისი განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით;
2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის (საჭიროების შემთხვევაში სპეციალური განათლების მასწავლებელთან, სსსმ პროფესიული სტუდენტის ასისტენტთან თანამშრომლობით), ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუსაღდგენილი სტუდენტებისათვის;
3. ამ ვალდებულების შესრულების მიზნით უნივერსიტეტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულს/საგანს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისებრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე)

და შესაბამისად, აზუსტებს სტუდენტისათვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

4. მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, როდესაც მიღწეული და მისაღწევი სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების მისაღწევ სწავლის შედეგებთან: ასეთ შემთხვევაში, დეპარტამენტის უფროსის, უფროსი სპეციალისტის (ხარისხის უზრუნველყოფის მიმარლებით) და შესაბამისი პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლის(ების) მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული მოდულის(ების) ფარგლებში. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

5. სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტი, რომელიც აღიდგენს სტუდენტის სტატუსს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, პროგრამის იმ ეტაპიდან, როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, რისთვისაც დეპარტამენტის უფროსის, უფროსი სპეციალისტის (ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით) და შესაბამისი პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლის(ების) მიერ მოწმდება პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ათვისებული სწავლის შედეგები და შემუშავდება სასწავლო განრიგი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად, სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, ასათვისებელი მოდულების წინაპირობების დაცვით.

6. დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი (ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით) შესათანხმებლად წარუდგენს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, რამაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი ცოდნის და უნარების შეძენა.

7. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუუნარო/შეზღუდულქმედუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრულ უნდა იქნას მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადის ფარგლებში.

მუხლი 17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის ორგანიზება

2. უნივერსიტეტში სწავლება მიმდინარეობს უფროსი სპეციალისტის (სასწავლო პროცესების მართვისა და უწყვეტი განათლების მიმართულებით) და პროგრამის

ხელმძღვანელის ჩართულობით შედგენილი სასწავლო ცხრილის შესაბამისად, რომელიც შედგენილია პროგრამის განმახორციელებლებთან შეთანხმებით .

3. უნივარსიტეტში დაწესებულია ხუთდღიანი სასწავლო კვირა, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შაბათი კვირა, როგორც სასწავლო/სამუშაო დღე.

4. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (დატვირთვა) მოიცავს 5 - 7 საკონტაქტო საათს.

5. ლექციის ხანგრძლივობაა ერთი ასტრონომიული საათი (აკადემიური საათი - 50 წუთი, ლექციებს შორის პერიოდში შესვენება - 5 წუთი, მესამე გაკვეთილის შემდეგ დასვენება 10 წთ.

7. სასწავლო კვირის მაქსიმალური დატვირთვა შეადგენს 30-40 ასტრონომიული საათი ერთ ცვლაში.

მული 18. პრაქტიკული მოსინჯვა

1. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას

2. 2026 წელს უნივერსიტეტის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პრაქტიკული მოსინჯვის ვადების განსაზღვრისას შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს აპლიკანტთა რეგისტრაციის დასრულებამდე პერიოდიც იმ დათქმით, რომ ყველა აპლიკანტს ექნება პრაქტიკული მოსინჯვის გავლის შესაძლებლობა

3. უნივერსიტეტი აპლიკანტს პრაქტიკული მოსინჯვის და შემდგომი უკუკავშირის პროცესის დროს მიღებული ინფორმაციის დასამუშავებლად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, რომლისთვისაც შესაძლოა ოჯახის წევრებთან კონსულტაციის გავლა და გარკვეული დროს დასჭირდეს, უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის სასურველი დროის მიცემას .

4. პრაქტიკული მოსინჯვის გამოყენება შესაძლებელია:

   ა. პირის პროფესიული ორიენტაციის დროს;

ბ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით ალტერნატიული ტესტირების დროს;

გ. დუალური/მუშაობაზე დაფუძნებული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული კონკურსის დროს;

5. პრაქტიკული მოსინჯვის პროცესის დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში ჩართული პირები:

ა) ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სპეციალისტი (შესაძლებელია მოწვევა)

ბ) პროფესიულის განათლების მასწავლებელი

გ) პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის წარმომადგენელი

6. ალტერანტიული ტესტირებისა და დუალური პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული კონკურსის შემთხვევაში, პრაქტიკული მოსინჯვა წარმოადგენს პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად განსაზღვრული სტანდარტული პროცედურის ერთგვარ ალტერნატივას, რომელსაც წინ უსწრებს აპლიკანტის რეგისტრაცია კონკრეტულ საგანმანთლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე. დუალური პროგრამის დროს, პროფესიის პრაქტიკული მოსინჯვის კომპონენტი განიხილება ალტერნატიულ ტესტირება-ინტერვიუს კონტექსტში, სადაც პრაქტიკული მოსინჯვის კომპონენტს შესაძლოა დაემატოს გასაუბრების ნაწილიც.

7. პრაქტიკული მოსინჯვა შეიძლება განხორციელდეს როგორც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გარემოში, ასევე, რეალური დასაქმების ადგილზე.

8. პრაქტიკული მოსინჯვის პროცესი სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე თითოეულ აპლიკანტთან განსხვავებულად შეიძლება მიმდინარეობდეს და მოიცავს რამდენიმე ძირითად ეტაპს:

ა) აპლიკანტის (აპლიკანტის შესაძლებლობებისა და საჭიროებების) გაცნობა;

ბ) პროფესიული/პრაქტიკული მოსინჯვის დაგეგმვა;

გ) პროფესიული მოსინჯვის პროცესი;

დ) განხორციელებულ პროცესზე რეფლექსია;

ე) პროფესიული არჩევანის გაკეთება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

9. აპლიკანტის (აპლიკანტის შესაძლებლობებისა და საჭიროებების) გაცნობა ხდება შემდეგნაირად:

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის შეფასების დასკვნაზე (რომელიც მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. სადაც თავმოყრილი ის საკვანძო ინფორმაცია აპლიკანტის უნარებისა და თავისებურებების შესახებ, რომლის გათვალისწინებითაც შესაძლებელია პრაქტიკული მოსინჯვისათვის შესაბამისი აქტივობის შერჩევისა და გარემოს მოწყობის მიზნით) დაყრდნობით პრაქტიკული

მოსინჯვის პროცესის დაგეგმვამდე, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სპეციალისტის და კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მასწავლებლის მიერ ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სათანადოდ გაცნობა. ამასთანავე, საჭირო ინფორმაციის მოპოვება და დაზუსტება შესაძლოა მოხდეს თავად აპლიკანტთან ან/და მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად, დასკვნის ავტორ მულტიდისციპლინური გუნდის წევრთან.

ბ) პროფესიული ორიენტაციისას პრაქტიკული მოსინჯვის შემთხვევაში ინკლუზიური განათლების სპეციალისტს აქვს შესაძლებლობა აპლიკანტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით თავად განახორციელოს გარკვეული შეფასება პროფესიების ანალიზის ინსტრუმენტის გამოყენების საშუალებით. რომელიც შერჩეული პროფესიული პროგრამის საკვანძო მოთხოვნების კარგად გააზრების და აპლიკანტის შესაძლებლობებთან და საჭიროებებთან მიმართებით გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა.

10. პროფესიული/პრაქტიკული მოსინჯვის დაგეგმვისთვის ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სპეციალისტის, პროფესიული განათლების მასწავლებელის მიერ შეირჩევა აპლიკანტისთვის შესაბამისი აქტივობა, რომლიც შერჩეული პროფესიის რეპრეზენტატულ (პროფესიისათვის დამახასიათებელ/ხშირად გამოყენებად) აქტივობას წარმოადგენს და ერთმანეთისაგან განსხვავდება შესრულების სირთულის ხარისხით.

11. იმ შემთხვევაში, თუ ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სპეციალისტი და პროფესიული განათლების მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს პირადად არ იცნობენ, აპლიკანტისთვის შესაბამისი სირთულის ხარისხის აქტივობის შერჩევას ახორციელებენ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ სპეციალისტს შეუძლია მიმართოს მულტიდისციპლინური გუნდის წევრს დასკვნაში არსებული გარკვეული ინფორმაციის დასაზუსტებლად. გარდა ამისა, აქტივობის დაზუსტება შესაძლებელია აპლიკანტისთვის/აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენლისათვის პროფესიული მოსინჯვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიწოდების დროსაც. ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც პირადად - პროფესიულ კოლეჯში დაინტერესებული პირების ვიზიტისას, ისე დისტანციური ფორმატით. აღნიშნულ ეტაპზე ხდება:

ა. აპლიკანტის/ აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება იმის შესახებ თუ რა ტიპის აქტივობებია დაგეგმილი პროფესიის მოსინჯვის დროს

ბ. ინფორმაციის დაზუსტება, შესაძლო საფრთხეებსა და აპლიკანტის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

12. პროფესიული მოსინჯვის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მისაწოდებლად, შესაძლებელია აპლიკანტს/მის კანონიერ წარმომადგენელს პრეზენტაციის/სურათების სახით წინასწარ გაეგზავნოს დაგეგმილი აქტივობის ბიჯები, რათა მოსინჯვის პროცესამდე მოხდეს ერთის მხრივ აპლიკანტის მომზადება, ხოლო მეორე მხრივ, აქტივობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადამოწმება.

13. პრაქტიკული მოსინჯვის დაგეგმვისას, შესაბამის ფორმაში (იხ. დანართი N1) აისახება აპლიკანტის შესახებ გასათვალისწინებელი ინფორმაცია, რომელიც მოცემული იყო მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში ან/და რომლის მოპოვებაც დამატებით მოხდა. ეს შეიძლება იყოს აპლიკანტის ქცევის თავისებურებები, ენისა და კომუნიკაციის უნარები, ინტერესები და სხვა.

14. პრაქტიკული მოსინჯვისას დეტალურად აღიწერება, თუ რა საგნები/იარაღებია საჭიროა აქტივობის განსახორციელებლად, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სივრცე, რომ გათვალისწინებულ იქნეს აპლიკანტის ინდივიდუალური თავისებურებები. ასევე, აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული ინფორმაცია პროცესში შესაძლო საფრთხეების (მაგ.: ბასრი საგნები, ქიმიური ხსნარები და ა.შ.) და იმ ადამიანური რესურსის შესახებ, რომლის ჩართვის აუცილებლობაც იქნება პრაქტიკული მოსინჯვის დროს (მაგალითად, ჟესტური ენის თარჯიმანი).

15. პროფესიული მოსინჯვის პროცესის უზრუნველსაყოფად:

ა. უნივერსიტეტი ვალდებულია შექმნას კეთილგანწყობილი, მხარდამჭერი გარემო, რაშიც მოიაზრება როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის ფიზიკური გარემოს შესაბამისი ორგანიზება, ისე დადებითი ემოციური ატმოსფეროს შექმნა ახალ გარემოში ადაპტაციისა და კომუნიკაციის დასამყარებლად.

ბ.პროფესიული მოსინჯვის პროცესში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სპეციალისტს მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის შესრულებაზე დაკვირვება (იხილეთ დანართი №2), ისეთ საკითხებზე, როგორიცაა აპლიკანტის მიერ მითითებების გაგება-შესრულება, საჭიროებისამებრ დახმარების თხოვნა, უსაფრთხოების დაცვა, ხელსაწყოების შესაბამისად გამოყენება, ფიზიკური ან/და ფსიქიკური გამძლეობა და სხვა.

16. განხორციელებულ პროცესზე რეფლექსია აუცილებელია, რისთვისაც:

ა)პრაქტიკული მოსინჯვის პროცესში აპლიკანტმა უნდა შეძლოს პროფესიის შესახებ რელევანტური ინფორმაციის შეგროვება, რომელიც დაეხმარება თვითგამორკვევაში - რამდენად მოსწონს კონკრეტული პროფესია, რა ტიპის აქტივობებს მოიცავს, რა უნარებს საჭიროებს, რამდენად შეესაბამება ის აპლიკანტის ინტერესებს და პროფესიის შესახებ არსებულ წარმოდგენებს და ა.შ.

ბ)პრაქტიკული მოსინჯვის შემდგომ რეფლექსიის პროცესში აპლიკანტს უნდა მიეცეს საშუალება თავად ჰქონდეს აქტიური როლი, დასვას კითხვები, მოახდინოს განხორციელებული აქტივობის შემდეგ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში

რეფლექსია, გამოავლინოს საკუთარი დამოკიდებულება და არ მოექცეს სხვათა შეხედულებების ზეგავლენის ქვეშ.

გ) კანონიერი წარმომადგენელის დასწრება შესაძლებელია მხოლოდ აქტივობის შესრულებამდე აპლიკანტთან შეთანხმებით.

დ) იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტს არ აქვს ზუსტი პასუხი პროფესიასთან მიმართებით, შესაძლებელია აპლიკანტთან შეთანხმებით გამოყენებულ იქნას ვიდეო ჩანაწერი, რომლიც განხორციელდება პროფესიული მოსინჯვის პროცესში იმ მიზნით, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირმა გაიხსენოს თითოეული განხორციელებული აქტივობა,

ე) რეფლექსიის შედეგები აისახება რეფლექსიის კითხვარში (იხ. დანართი №3), რომლის გამოყენებისას აუცილებლია გათვალისწინებულ იქნეს თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინდივიდუალური თავისებურებები, მაგ.: საუბრის ტემპი, ენობრივი უნარები და ა.შ.

ვ) აუცილებელია მკაფიოდ იყოს დიფერენცირებული კითხვარის ფარგლებში გამოყენებული პასუხები: „ნეიტრალური დამოკიდებულება“ და „არ ვიცი“. რიგ შემთხვევებში შესაძლოა აპლიკანტს გაუჭირდეს ამ ორი დამოკიდებულების დიფერენცირება, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს პირის არასაკმარის ინფორმირებულობაზე და დაწესებულება ვალდებულია აპლიკანტს შეასრულებინოს დამატებითი აქტივობები.

17. პროფესიული არჩევანის გაკეთებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის:

ა) პრაქტიკული მოსინჯვის პროცესში დაკვირვების წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციიის საფუძველზე ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი ამზადებს არგუმენტირებული შეჯამებას სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის მიერ გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

ბ) დაკვირვების მონაცემების და აპლიკანტის მიერ მოხდენილი რეფლექსიის საფუძვლად გამოვლენილი უნარებისა და დამოკიდებულებების შეჯამება უნდა მოიცავდეს:

- როგორია აპლიკანტის სასწავლო მოტივაცია?
- რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აქტივობას გაუმკლავდა აპლიკანტი უფრო ეფექტიანად და წარმატებით?
- რომელ პროფესიულ პროგრამასთან მიმართებით აღმოჩნდა მეტი თანხვედრა პროფესიით განსაზღვრულ საკვანძო უნარებსა და აპლიკანტის შესაძლებლობებს შორის?
- როგორია აპლიკანტის დამოკიდებულება განხორციელებული საქმიანობების მიმართ? რის მიმართ ამჟღავნებს მეტ ინტერსს?
- რა რისკებს შეიძლება შეიცავდეს კონკრეტული პროფესიის დაუფლება აპლიკანტისთვის?

გ) შეჯამებაში ობიექტურად, კომპეტენციის ფარგლებში უნდა მოხდეს ხაზგასმა იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციისა, რომელიც აპლიკანტს დაეხმარება მიიღოს მისთვის საუკეთესო გადაწყვეტილება. დაუშვებელია აპლიკანტის პიროვნების შეფასება ან განსჯა;
დ) შეჯამების პროცესზე სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირის დასწრების შემთხვევაში აუცილებელია, შედეგების გაცნობისას მაქსიმალურად იქნეს დაცული პროფესიული ეთიკა.
ე) აპლიკანტისთვის მიერ საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად, რეკომენდებულია აპლიკანტისა და მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის იმ საფრთხეების ჩვენებაც/გაცნობა, რომელსაც პროფესია მოიცავს და უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, ვერ მოხდა აღნიშნული აქტივობის განხორციელება პროფესიული მოსინჯვის ფარგლებში.

მუხლი 19. გარდამავალი დებულებები

1. 2026 წელს უნივერსიტეტი უფლებამოსილია, უმაღლეს და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა მიღება განახორციელოს აგრეთვე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (შემდგომ – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება) შესაბამისად. გარდა იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, აბიტურიენტად მიიჩნევა პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად დარეგისტრირდება ერთიან ეროვნულ გამოცდაზე და რეგისტრაციისას აირჩევს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამას.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, განსაზღვრულია რამდენიმე ჩასაბარებელი საგანი, უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული ადგილების რაოდენობა ნაწილდება ჩასაბარებელი საგნების რაოდენობის პროპორციულად. პროპორციული განაწილების ზუსტად განხორციელების

შეუძლებლობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საგანთა ჩამონათვალში მითითებულ პირველ საგანს.

4. ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ აბიტურიენტი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის უნივერსიტეტში წარადგენს, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში უნივერსიტეტის მიერ ამ წესის 3^8 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

5. რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში უნივერსიტეტი ვალდებულია აბიტურიენტი ჩარიცხოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე აბიტურიენტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.

შეტანილი ცვლილებები:

1. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის N24 დადგენილება, ოქმი N3
2. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 04 ნოემბრის N42 დადგენილება, ოქმი N7
3. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 ივლისის N26 დადგენილება, ოქმი N6
4. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 14 სექტემბრის N33 დადგენილება, ოქმი N8
5. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 04 ნოემბრის N43 დადგენილება, ოქმი N10
6. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 დეკემბრის N65 დადგენილება, ოქმი N11
7. აკადემიური საბჭოს 2022 წლის 24 თებერვლის N17 დადგენილება, ოქმი N5
8. აკადემიური საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის N5 დადგენილება, ოქმი N1
9. აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 ივლისის N851227 დადგენილება, ოქმი N 6
10. აკადემიური საბჭოს 2025 წლის 23 ივნისის N731937 დადგენილება, ოქმი N 6
11. აკადემიური საბჭოს 2025 წლის 7 ნოემბრის N1557375 დადგენილება, ოქმი N 8
12. აკადემიური 2026 წლის 29 აპრილის N502823 დადგენილება, ოქმი N 4